საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ახმეტის მუნიციპალიტეტი

ახმეტის მუნიციპალიტეტი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული აღმოსავლეთ საქართველოში. ჩრდ-ით ესაზღვრება ჩაჩნეთი (რფ) და ინგუშეთი (რფ), აღმ-ით – დაღესტანი (რფ) და თელავის მუნიციპალიტეტი, დას-ით – დუშეთისა და თიანეთის, სამხრ-ით – საგარეჯოს მუნიციპალიტეტები. ფართ. 2207, 6 კმ². მოსახლ. 22,7 ათ. კაცი (2014). ცენტრი – ქ. ახმეტა. ა.მ-ში არის 1 ქალაქი, 107 სოფელი, 2 სათავო სოფელი: კასრისწყალი და მატანი; 13 თემი: ახმეტის, დუისის, ზემო ალვანის, ზემო ხოდაშნის, თუშეთის (ომალოს), მაღრაანის, ოჟიოს, საკობიანოს, ქვემო ალვანის, ქისტაურის, შახვეტილას, ხალაწანის, ჯოყოლოს.

ისტორიული ცნობა. ფეოდალიზმის ეპოქაში (XV ს-მდე) ახლანდ. ა. მ-ის ტერიტ. კვეტერისა და პანკისის საერისთავოებში შედიოდა. XV ს. 70-იანი წლებიდან კახეთში საერისთავოების გაუქმების შემდეგ აქ რამდენიმე სამოურავო იყო (თუშეთის, პანკისის, ქისტაურის, ზემო ხოდაშნის, ქვემო ხოდაშნის, ხატრიონის, მაღრაანის და სხვ.). ტერიტორიულად ა. მ. XIX ს. II ნახევარში შექმნილ თუშეთ-კახეთის საპოლიციო უბანს ემთხვევა. ამავე საუკუნეში პანკისის ხეობაში ჩამოსახლდნენ ქისტები და ოსები. 1930-მდე ახლანდ. ა. მ-ის ტერიტ. შედიოდა თიანეთის მაზრაში, 1930-იდან –თელავის რ-ნში, 1951-იდან გამოიყო ცალკე რ-ნად, 1963 – 64 ისევ შეუერთეს თელავის რ-ნს, 1964 აგვ-იდან კვლავ გამოიყო ახლანდ. საზღვრებში.

ბუნება. ა. რ-ის დიდი ნაწილი მთიანია. უჭირავს კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. და ჩრდ. კალთები (მწვერვალები დიდი ბორბალო, შავი კლდე), პირიქითის ანუ თუშეთის ქედის სამხრ. კალთა (მწვერვალები: თებულოსმთა, ქომიტო, ჭეშოს მთა, დანოს მთა, დიკლოსმთა), კახეთის, პანკისის, დიდგვერდ-აქერლის ქედები, პანკისის ხეობა, თუშეთის

ქვაბული და ალაზნის ვაკის ჩრდ.-დას. მცირე მონაკვეთი. მუნიციპალიტეტის მთიანი ნაწილი აგებულია იურული და ცარცული თიხაფიქლებით, ქვიშაქვებით, მერგელოვანი ფიქლებით, კირქვებით; ალაზნის ვაკე დაფარულია მეოთხეული რიყნარით, ქვიშებით, თიხებითა და თიხნარით. მაღალი მთების თხემურ ზოლში განვითარებულია ალპ. რელიეფი. პირიქითის ქედზე და ნაწილობრივ კავკასიონის მთავარ ქედზე არის თანამედროვე გამყინვარება. თუშეთის ტერიტორიაზე ჭარბობს ტექტონ.-მყინვარული რელიეფი. საკმაოდ კარგადაა გამოხატული მეოთხეული გამყინვარების კვალი: ტროგული ხეობები, ცირკები, კარები და სხვ. მუნიციპალიტეტში არის მინერ. სამკურნ. წყაროები.

დაბალ ზონაში (700 მ-მდე) ზომიერად ნოტიო, თბილი ჰავაა. იცის ცხელი ზაფხული და ზომიერად ცივი ზამთარი. იანვ. საშ. ტემპ-რა 0,5 – 1,0°C, ივლ. 22 – 24°C; აბსოლ. მინ. – 23°C, აბსოლ. მაქს. 38°C. ნალექები 770 – 820 მმ წელიწადში. 700-იდან 1200 მ-მდე ზომიერად ნოტიო ჰავაა. ზაფხული ხანგრძლივი და გრილია, ზამთარი – ზომიერად ცივი. იანვ. საშ. ტემპ-რა –0,4, – 3°C, ივლ. 18 – 22°C; აბსოლ. მინ – 26°C, აბსოლ. მაქს. 36°C. ნალექები 1000 – 1200 მმ წელიწადში. ზ. დ. 1200-იდან 2000 მ-მდე ჰავა ზომიერად ტენიანია. ზამთარი ცივია, ზაფხული – მოკლე და გრილი. იანვ. საშ. ტემპ-რა –3, – 6°C, ივლ. 14 – 19°C . ნალექები 1500 – 1700 მმ წელიწადში. უფრო ზემოთ მაღალმთის ჰავაა. იცის ცივი და მკაცრი ზამთარი.

ა. მ-ის ტერიტორიაზე კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ-ით მიედინება მდ-ები ალაზანი და ილტო მრავალი შენაკადით, ჩრდ-ით – პირიქითისა და თუშეთის ალაზანი, რ-ებიც სოფ. ქუმელაურთასთან ერთდებიან. მდ-ები საზრდოობენ მიწისქვეშა, თოვლის, წვიმისა და მყინვარული წყლით. მდ-ები შუაგორისხევი, დიდრიყე და სხვ. ღვარცოფულია. ალაზანსა და ილტოს იყენებენ სარწყავად.

მაღალმთიან ზონაში განვითარებულია მთა-მდელოს კორდიანი ნიადაგი. ტყის ზონაში – ტიპური და გაეწრებული ტყის ყომრალი, კარბონატული ქანების გამოფიტვის ქერქზე – კორდიან-კარბონატული, ალაზნის ვაკეზე, პანკისისა და ნაწილობრივ ილტოს ხეობებში ალუვიური ნიადაგია.

მცენარეულ საფარში ჭარბობს ტყე და მდელო. მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი ნაწილი დაფარულია სუბალპ. და ალპ. ბალახეულით. კავკასიონის სამხრ. კალთაზე (ზ. დ. 2000 – 2300 მ-მდე) შერეული ფართოფოთლოვანი ტყეა. მისი შემქმნელი ჯიშებია მუხა, რცხილა და წიფელი. თუშეთში ფიჭვისა და არყის ტყეებია. პანკისის ხეობაში არის უთხოვრის კოროშები, ხოლო სოფ. ბაბანეურთან და არგოხთან შემორჩენილია მესამეული ხანის რელიქტი – კავკასიური ძელქვა. ტყის ზონის ზემოთ, კავკასიონის მთავარ, პირიქითის ქედებსა და მაღალ შტოქედებზე იზრდება ჯუჯა არყი, დეკა, შედარებით მშრალ, განათებულ კალთებზე – მაღალმთის ღვიის ბუჩქები. მუნიციპალიტეტის დაბალ ნაწილში – ალაზნის ვაკეზე – აქა-იქ შემორჩენილია ლეშამბოიანი ტყე. მცირე ფართობი უჭირავს სტეპის

ბალახოვან მცენარეულობას და ბუჩქნარს.

ალპ. სარტყელში ბინადრობს ჯიხვი, ნიამორი (იშვიათია), არჩვი; ტყის სარტყელში – შველი, მურა დათვი, ფოცხვერი, კავკასიური მგელი, ტურა, კავკასიური მთის მელა, კვერნა, წავი, მაჩვი, დედოფალა, გარეული კატა, კავკასიური ციყვი, ძილგუდა, კურდღელი. მაღალ მთებში ბინადრობს კავკასიური როჭო, კავკასიური შურთხი, ორბი, არწივი და სხვ. ბევრგანაა ყვავი, შოშია, ბეღურა, ზარნაშო, ბუ და სხვ. გვხვდება ხვლიკი, გველხოკერა, გველი, გომბეშო, ტბის ბაყაყი. მდ-ებში იცის კალმახი, ჭერეხი, ქაშაპი, ტობი, მურწა, წვერა და სხვ. მუხნარის დაცვისა და ხოხბის გავრცელების მიზნით მდ. ალაზნის ნაპირზე, ალავერდის ჭალაში, შექმნილია საცდელი სამონადირეო მეურნეობა.

ძირითადი ლანდშაფტები: 1. გლაციალურ-ნივალური; 2. მთა-მდელოს (სუბალპ. და ალპ.); 3. მთა-ტყის (ქვედა ნაწილში მუხნარ-რცხილნარი, ზემოთ – წიფლნარი, თუშეთში – ფიჭვნარ-არყნარით); 4. ალაზნის ვაკის – ლეშამბოიანი ტყის ფრაგმენტები; 5. მდელო-სტეპის.

ა. მ-ის ტერიტორიაზე არის ბაწარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიები. მოსახლეობის უმეტესობა ქართველები არიან, ცხოვრობენ სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც. განსახლების ძირითადი ზონა ზ. დ. 400 – 800 მ-მდეა; თუშეთის (ომალოს) თემში შემავალი სოფლები კი 2000 მ-ზე მაღლაა. მოსახლ. საშ. სიმჭიდროვეა 14,3 კაცი 1 კმ²-ზე (2014).

მეურნეობა. სოფ. მეურნ. მთავარი დარგებია მევენახეობა, მემარცვლეობა, სახორცე-სარძეო მესაქონლეობა და მეცხვარეობა. მისდევენ მებაღეობას, მებოსტნეობას და მეაბრეშუმეობას. მრავალწლოვანი ნარგავებიდან წამყვანია ვაზი (უმთავრესად რქაწითელი და მწვანე). მებაღეობა უმთავრესად ადგილ. მნიშვნელობისაა; მარცვლეული კულტურებიდან მოჰყავთ ხორბალი, ქერი, სიმინდი. მეცხოველეობაში წამყვანია მეცხვარეობა. ცნობილია თუშური ჯიშის ცხვარი.

განვითარებულია ხე-ტყის მრეწველობა. არის ხის დასამუშ. კომბინატი (ახმეტაში), რ-იც ხე-ტყეს უმთავრესად ახმეტის, თიანეთის, ყვარლისა და თელავის სატყეო მეურნეობებიდან იღებს; ბიოქიმ. ქ-ნა, საქართველოში უდიდესი ჰიდროლიზ-საფუვრის ქ-ნა (საფუვრით ამარაგებს კომბინირებული საკვების დამამზადებელ ქ-ნებს), ღვინის, საკონსერვო, ყველ-კარაქისა და რძის ქ-ნები.

სატრანსპ. სისტემაში მთავარ როლს საავტ. ტრანსპორტი ასრულებს. მუნიციპალიტეტზე გადის საავტ. გზები: ახმეტა–თელავი, ახმეტა–თიანეთი, ახმეტა-ფშაველი. ადგილ. მნიშვნელობის საავტ. გზებიდან აღსანიშნავია ახმეტა – ყვარელი, ახმეტა–ომალო.

საჰაერო მიმოსვლაა ახმეტიდან თბილისამდე, აგრეთვე სოფ. ომალოსა (თუშეთი) და თელავს შორის.

კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა. მუნიციპალიტეტში, არის საჯარო, სამუსიკო და სპორტული სკოლები, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი, ახმეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რ. ერისთვის სახლ-მუზეუმი (სოფ. ქისტაური). მოსახლ. ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება სს „ევექსის კლინიკები“.

ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ძეგლები. მუნიციპალიტეტის ხუროთმოძღვრულ ძეგლთაგან აღსანიშნავია ახმეტის, ახშანის, ბაიხოს, მაღრანის (შუა საუკ. მოხატულობა XVI ს.), აწყურის „თეთრი გიორგის“, ზემო ხოდაშნის (XVIII ს.) ეკლესიები; სამონასტრო ანსამბლები: ალავერდი, მატნის ცხრაკარა; ხუროთმოძღვრული ანსამბლები: კვეტერა, ზემო ალვანი; ბახტრიონის ციხე, „კახის თინას ციხე“, გირევისა და პეღოს კოშკები (შუა საუკ.) ფარსმის მახლობლად. ახმეტის მიდამოებშია სამნავიანი ბაზილიკა „ღვთაება“ (VI ს. II ნახ.), ლომისის წმ. გიორგის ეკლესია (შუა საუკ.), ცხრაკარის სასახლის ნანგრევები (გვიანდ. შუა საუკუნეები).

გ. ზარდალიშვილი

ნ. ასათიანი